

მატჩის 74-ე წუთზე გიორგი ქინქლაძემ ჩვეული ოსტატობით, შორი მანძილიდან ბრწყინვალედ შეასრულა „ჩაკიდული“ დარტყმა, ბურთმა გადაუფრინა წინ გამოსულ უელსელთა მეკარეს და ჩაეშვა მოწინააღმდეგის კარში.
სწორედ ამ ერთადერთმა გოლმა გამარჯვება მოუტანა საქართველოს ნაკრებს.

ქართული ფეხბურთის სხვადასხვა თაობის ოსტატებს არაერთხელ გაუხარებიათ გულშემატკივრები ისეთი წარმატებებით, რომელსაც არასოდეს გადაეფარება დავიწყების ბურუსი. განეკუთვნება თუ არა ასეთ მატჩებს გასულ ოთხშაბათს კარდიფში გამართული ჩვენი და უელსის ნაკრები გუნდების შეხვედრა? რა თქმა უნდა, განეკუთვნება. მთავარი მაინც ის არის, რომ დამოუკიდებელი საქართველოს წარგზავნილებმა ამჯერადაც აამაღლეს ქართული ფეხბურთის ავტორიტეტი ევროპაში, ჩვენმა ნაკრებმა ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ აღმავლობის გზაზე დგას და კონტინენტის ახლებურ საფეხბურთო ინტეგრაციაში დიახაც, რომ ღირსეულად იმკვიდრებს ადგილს. მტკიცდება რწმენა, რომ საქართველო საფეხბურთო ტალანტებით მდიდარი ქვეყანაა.

# ლელო

ივნისი. 1995 წ.
ფასი 600 რუბლი, ან 175 000 კუპონი.
№21 (10932)
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში

# უელსი — საქართველო 0–1

კარდიფი. 7 ივნისი. „არმზ პარკის“ ეროვნული სტადიონი.
10000 მაყურებელი. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი: უელსი — საქართველო 0-1. მსაჯები: ი. კოხო, ტ. კარო, ი. შობლომი; სარეზერვო — ტ. კელტანენი (ყველანი ფინეთიდან). უეფას დელეგატი: ე. პაპაევსტრატიუ.
უელსი: საუთჰოლი, ფილიპსი, ბოუენი, ჯონსი, ვილიამსი, საიმონსი, ჰორნი, სოუნდერსი (პემბრიჯი), რაში, ჰიუზი (ჰარტსონი), კორნფორნი; საქართველო: დევაძე, ბერაძე, ცხადაძე, შელია, ჩიხრაძე, გოგიჩაიშვილი, ინალიშვილი, ყაველაშვილი (ცქიტიშვილი), ქეცბაია, ქინქლაძე, შ. არველაძე.
გოლი: ქინქლაძე, გააფრთხილეს: დევაძე, ჩიხრაძე, გააძევეს: ჯონსი.

## მატჩს უელსში ესწრებოდა „ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი ჯემალ ჭიპაშვილი. გთავაზობთ მის შთაბეჭდილებებს.

„პოსტ ჰაუზ ოტელი“, სადაც ჩვენები დაბინავდნენ, სულ რაღაც 300 მეტრითაა დაშორებული „არმზ პარკის“ სტადიონს, რომლის ძირითად და სათადარიგო მინდვრებზე უნდა ჩატარებულიყო ორივე შეხვედრა. ჯერ ახალგაზრდული ნაკრებების მატჩის შესახებ.

კარდიფი. 6 ივნისი. „არმზ პარკის“ ეროვნული სტადიონი. 500 მაყურებელი. ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი: უელსი — საქართველო 5-1. მსაჯები: გ. ვეიზერი, ბ. სიტრუკი, ა.რეინაუ, სარეზერვო — ჯ. ლეგრენი (ყველანი საფრანგეთიდან). უეფას დელეგატი: ე. პაპაევსტრატიუ (საბერძნეთი).

უელსი: კოინი, ბრეისი, ედვარდსი, ევანსი, ფეიჯი, ჰიუზი, ტვიდი, ჩაპლი, ტეილორი, ჯოუნსი, სევიჯი; საქართველო: გვარამაძე, რეხვიაშვილი, (ბუცურეიშვილი), კიკნაძე, ჯელაძე, კარიაული, ჰიჭვეიშვილი, დემეტრაძე, მუჯირი, იაშვილი, ხომერიკი, ა. არველაძე.

გოლები: ევანსი, მუჯირი, ტეილორი (2), ჯოუნსი (2)

გააფრთხილეს: კიკნაძე, ჰიუზი.

ამ მატჩის სხვანაირ შედეგს არ ველოდით. მაგრამ იმედის ნაპერწკალი პირველი ტაიმის დამთავრებისას მაინც გაგვიჩნდა, როდესაც ჩვენებმა თითქმის ერთადერთი საზრიანი კომბინაცია გაითამაშეს და მუჯირმა ახლო მანძილიდან ანგარიში გაათანაბრა.

მაგრამ ღმერთი ძლიერებს სწყალობს: მეკარე გვარამაძის თავგანწირული თამაშის მიუხედავად, უელსელებმა კიდევ ოთხჯერ აიღეს ჩვენი ნაკრების კარი.

მიზეზთა გამო კარდიფს ჩასულ ეროვნული ნაკრების მხოლოდ 15 ფეხბურთელს, ღმერთს დაეფარა კიდევ ვინმე გამოკლებოდა. განგებამ მაინც ინება და ერთი დანაკლისი მაინც „დაგვიმატა“: მეკარე ზოიძემ ვარჯიშის დროს ხელი დაიზიანა. ვრჩებოდით ერთი მეკარის — დევაძის ამარა. ამიტომ მწვრთნელებმა 7 ივნისის მატჩში სათადარიგო მეკარედ ახალგაზრდული ნაკრებიდან გვარამაძე მოიწვიეს, ასევე დაიმატეს არჩილ არველაძე. ყოველივე ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ტრავმებისა და სხვათა მიზეზთა გამო ეროვნულ ნაკრებს 7 (!) ფეხბურთელი გამოაკლდა — ჯამარაული, ნემსაძე, ლობჟანიძე, გოგრიჭიანი, ყიზილაშვილი, ღუდუშაური, რევიშვილი.

მასპინძლები საგანგებოდ ემზადებოდნენ ამ მატჩისათვის. თბილისში განცდილმა ფიასკომ (0-5) დიდად შეულახა თავმოყვარეობა ინგლისურ პროფესიულ კლუბებში („ევერტონი“, „მანჩესტერ იუნაიტედი“, „ლივერპული“ და სხვ.) მოთამაშე ვალიელებს. ფეხბურთელებიც და მთლიანად უელსის საზოგადოება რევანშისთვის განეწყო, განთქმული ლონდონელი ბუკმეკერები 9-2-ზე აფასებდნენ თავიანთი გუნდის შანსებს.

მართლაც, დაიწყო თუ არა შეხვედრა, მასპინძლებმა გააფთრებით შეუტიეს დევაძის კარს. ამ ძნელ მონაკვეთში ბრწყინვალედ ითამაშეს ცენტრალურმა მცველებმა ცხადაძემ და შელიამ, რომლებიც ტოლს არ უდებდნენ რაშს, ჰიუზსა და სოუნდერსს მაღალი ბურთებისთვის ბრძოლაში. დამაჯერებლად მოქმედებდა ინალიშვილი საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე. მარცხენა ნახევარმცველის ფუნქციას ლაღად ასრულებდა ქეცბაია.

მიმდინარეობდა მატჩის 27-ე წუთი, როდესაც მასპინძელთა უხეშობით განთქმულმა მცველმა ჯონსი მორიგი სარმით გაუმასპინძლდა ყაველაშვილს. უელსელმა ეს არ იკმარა და მიწაზე მწოლიარე ჩვენს მოთამაშეს ფეხიც ჩაარტყა. ფინელმა არბიტრმა ილკო კოხომ დაუყოვნებლივ გააძევა მინდვრიდან ხულიგანი ფეხბურთელი. ამის შემდეგ რიცხობრივ უპირატესობაში დარჩენილი საქართველოს ეროვნული ნაკრები დინჯად, აუღელვებლად გაისარჯა და ზედიზედ რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნა სტუმართა კართან (ყაველაშვილი, ინალიშვილი, შ. არველაძე, ქინქლაძე, ქეცბაია). მატჩის დამთავრებამდე 16 წუთი იყო დარჩენილი, როდესაც გიორგი ქინქლაძემ გასაოცარი გამჭრიახობა გამოიჩინა და დაინახა რა კარიდან წინ გამოსული საუთჰოლი, დაახლოებით 22 მეტრიდან მაღალი ბურთი ჩაჰკიდაა მასპინძელთა კარში.

მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე უელსელთა თავკაცმა მაიკ სმითმა განაცხადა, რომ „საქართველომ ფანტასტიკურად ითამაშა. ნუგეშად ის დამრჩენია, რომ ჩვენ ღირსეულ გუნდთან წავაგეთ, გუნდთან, რომელსაც ევროპის ელიტარულ ნაკრებთა წრეში დავასახელებდი“.

ჩვენი ფეხბურთელები, თანმხლები ჟურნალისტები, ბრიტანეთის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ქართული სათვისტომოს მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები (მატჩს ესწრებოდა ბრიტანეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თემურ მამაცაშვილი) უზომოდ კმაყოფილები, თავაწეულები ვტოვებდით სტადიონს და სიამაყის გრძნობით აღსავსენი ვბრუნდებოდით შინ.

## VII ჯგუფი

| | ქვეყნები | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბულგარეთი | | 3-2 | 2-0 | 4-1<br>3-0 | 3-0<br>3-1 | | 18-4 | 18 |
| 2 | გერმანია | 2-3 | | 2-0 | 3-0 | 1-1 | 2-1<br>2-1 | 12-6 | 13 |
| 3 | საქართველო | 0-2 | 0-2 | | 0-1 | 5-0<br>1-0 | 1-0<br>2-0 | 9-5 | 12 |
| 4 | მოლდოვა | 1-4<br>0-3 | 0-3 | 1-0 | | 3-2 | 0-3<br>2-3 | 7-18 | 6 |
| 5 | უელსი | 0-3<br>1-3 | 1-1 | 0-5<br>0-1 | 2-3 | | 2-0 | 6-16 | 4 |
| 6 | ალბანეთი | | 1-2<br>1-2 | 0-1<br>0-2 | 3-0<br>3-2 | 0-2 | | 8-11 | 6 |

შენიშვნა: ცხრილში გუნდები განლაგებულია უეფას თავდაპირველი წილისყრით.

## ცხადაძე — „ტოტენჰემში“?

7 ივნისს უელსი-საქართველოს მატჩის დამთავრების შემდეგ კახი ცხადაძესთან მივიდა ინგლისის „ტოტენჰემ ჰოტსპურსის“ კლუბის მენეჯერი და შესთავაზა ამ გუნდში გადასვლა. „ლელოს“ შეკითხვაზე დათანხმდება თუ არა ამ წინადადებას, ცხადაძემ უპასუხა — ვნახოთ, პირობებს გააჩნიაო.

## გათამაშების კალენდარი

6.IX. გერმანია — საქართველო
უელსი — მოლდოვა
ალბანეთი — ბულგარეთი
7.X. ბულგარეთი — ალბანეთი
8.X. გერმანია — მოლდოვა
11.X. უელსი — გერმანია
საქართველო — ბულგარეთი
15.XI. გერმანია — ბულგარეთი
მოლდოვა — საქართველო
ალბანეთი — უელსი.

## სხვა მატჩები

I ჯგუფი. პოლონეთი — სლოვაკეთი 5-0.
რუმინეთი — ისრაელი 2-1.
II ჯგუფი. დანია — კვიპროსი 4-0.
ესპანეთი — სომხეთი 1-0.
მაკედონია — ბელგია 0-5.
III ჯგუფი. თამაშები არ გაიმართა.
IV ჯგუფი. ლიტვა — სლოვენია 2-0.
V ჯგუფი. ლუქსემბურგი — ჩეხეთი 1-0.
ნორვეგია — მალტა 2-0.
ბელარუსი — ჰოლანდია 1-0.
VI ჯგუფი. ჩრდ. ირლანდია — ლატვია 1-2.
VII ჯგუფი. უელსი — საქართველო 0-1.
ბულგარეთი — გერმანია 3-2.
მოლდოვა — ალბანეთი 2-3.
VIII ჯგუფი. ფარერის კ-ბი — შოტლანდია 0-2.
სან-მარინო — რუსეთი 0-7.

## ახლო საზღვარგარეთი...



უკრაინის ახალგაზრდობისა და სპორტის მინისტრი, ცნობილი მძლეოსანი ვალერი ბორზოვი ამ ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტიცაა, მით უფრო სარწმუნოა ფაქტები, რომელსაც ვ. ბორზოვის ერთ-ერთი ინტერვიუდან გთავაზობთ.

სურათზე: ვალერი ბორზოვი

# სპორტს უკრაინაშიც უჭირს

1995 წელს სპორტს სახელმწიფო ბიუჯეტის 0,8 პროცენტი ხმარდება. მწვრთნელთა ყოველთვიური ხელფასი სამ მილიონ კარბოვანეცს (21 დოლარი) შეადგენს. ახლა ყოველწლიურად უსახსრობის გამო სპორტსკოლების 10-12 პროცენტი იხურება. შედარებით მყარად ფეხზე დგანან მხოლოდ სპორტის ის სახეობები, რომლებსაც სპონსორები აფინანსებენ. განსაკუთრებით ეს ითქმის კრივზე, ძალოსნობაზე და აღმოსავლურ ორთაბრძოლებზე. აქ ძირითადად გამოდიან ემიგრანტი კავკასიელები, რომელთაც ჯიბეში უდევთ უკრაინის მოქალაქეობის პასპორტი.

ბორზოვის აზრით, მის ქვეყანას უდიდესი სპორტული პოტენციალი აქვს, მაგრამ სახელმწიფოს ეს არ აინტერესებს, სპორტი უკრაინაში არ არის აყვანილი ეროვნული პოლიტიკის დონეზე.

* * *

უკრაინის ბევრი სპორტული ორგანიზაცია თავად ცდილობს მოიპოვოს სარჩო. მაგალითად, კიევში უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლამ, მას შემდეგ, რაც ბიუჯეტიდან დაფინანსება შეუწყდა, მძლეოსნობის მანეჟი უცხოური მანქანებით მოვაჭრე ფირმას დაუთმო. წელიწადში 4-5 თვე მანეჟი გამოკეტილი იყო, მაგრამ ხელი მძლეოსნებს არც სხვა დროს ეშლებათ, ახლა ბაზარი და სპორტი შეხმატკბილებულად განაგრძობენ თანაცხოვრებას ერთ ჭერქვეშ. მთავარია, რაც შეიძლება მეტი მანქანა გაიყიდოს, შემოსავლიდან მიღებულმა წილმა სპორტული ნაგებობის ხარჯებიც აანაზღაუროს და სპორტსმენებსაც დიდი სარბიელისკენ მიმავალ გზაზე მუდამ მწვანე შუქი ენთოთ. ოღონდ ეგაა, მანეჟში ახლა მძლეოსნობის ასობით მოყვარულის ნაცვლად რამდენიმე ათეული პროფესიონალი ვარჯიშობს, ამიტომ ყოველდღიურად აქ გასაყიდი მანქანები მეტია, ვიდრე სპორტსმენები.

## რედაქტორები ამხელენ

„უკრაინაში დეგრადაციას განიცდის ფეხბურთიც კი" — ამბობს გაზეთ „კომანდას" რედაქტორი ვალერი მირსკი. სტატისტიკა კი ასეთია: 1991 წელს ბავშვთა საფეხბურთო სკოლებში მეცადინეობდა 800 ათასი მოზარდი, ამჟამად ეს რიცხვი მინიმუმამდე დაეცა. მხოლოდ კიევის „დინამომ", „დნეპრმა" და კიდევ ერთმა-ორმა კლუბმა თუ შეინარჩუნა ბავშვთა სკოლა.

გაზეთ „სტადიონის" რედაქტორის იგორ ზასედას აზრით კი, სამ-ოთხ წელიწადში უკრაინა ერთ სპორტსმენსაც ვერ გაგზავნის ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატებზე, რადგან სპორტსმენთა ოსტატობის დონე ჩამორჩება საერთაშორისო სპორტის ისეთ სახეობებშიც კი, როგორიცაა: ტანვარჯიში, ნიჩბოსნობა, მძლეოსნობა, ცურვა, სათამაშო სახეობები. არადა, ამ სახეობებში უკრაინას მყარი პოზიციები ჰქონდა საერთაშორისო სარბიელზე.

## არბოობა ნორჩი ფეხბურთელებით?

„ჩვენს ქვეყანაში ფეხს იკიდებს ახალი საშინელი მოვლენა — ნორჩი ფეხბურთელებით ვაჭრობა" — განაცხადა კიევში გამართულ პრეს-კონფერენციაზე უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვიქტორ ბანიკოვმა. ეს ალმაშფოთებელი ფაქტი ბანიკოვმა ასე ახსნა: „ზოგიერთი მწვრთნელი კრიბავს ჭაბუკ ფეხბურთელებს და, საარდადეგებო მოგზაურობის საბაბით, ჯგუფებად მიჰყავს ახლო საზღვარგარეთის ქვეყნების ქალაქებში, იქ კი მწვრთნელები ადგილობრივ კლუბებს ბავშვებს სთავაზობენ, როგორც ცოცხალ საქონელს".

მასალების ბლოკი მომზადდა საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ტურიზმის კომისიაში.




● შვეიცარიის საკურორტო ქალაქ სიონს გადაწყვეტილი აქვს 2002 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობა, იმისათვის, რომ მიიქციონ ყურადღება, 11 ივნისს ბუდაპეშტის მიმართულებით გაემგზავრება შვეიცარიელ სპორტსმენთა დელეგაცია... გორგოლაჭებიანი ციგურებით. ისინი დაფარავენ 1338 კილომეტრს იმ ანგარიშით, რომ 16 ივნისს უნგრეთის დედაქალაქში დაესწრონ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიის გახსნას.

● სომალის ოლიმპიური დელეგაცია 18 ათლეტისა და 7 მწვრთნელის რაოდენობით, აკლიმატიზაციის მიზნით, ატლანტაში ჩასვლას აპირებდა სამი კვირით ადრე, მაგრამ ჯორჯიას შტატის ბეროუს საგრაფოს მცხოვრებლებმა მათ ნაადრევ მიღებაზე უარი განაცხადეს. მიზეზი გახლავთ სომალის სპეცსამსახურების აქტიური მონაწილეობა ტერორისტულ აქტებში.

● ჩინეთში მაგიდის ჩოგბურთელთა 43-ე მსოფლიო ჩემპიონატს ესწრებოდა სოკის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი. იგი შეხვდა ქვეყნის ხელმძღვანელებს და ურჩია მონაწილეობა მიიღონ ოლიმპიურ ქალაქთა კონკურსის ახალ ციკლში, სადაც აქტიურ მხარდაჭერას დაჰპირდა. (როგორც ცნობილია, ორი წლის წინათ პეკინმა წააგო 2000 წლის ოლიმპიადის მასპინძლობისთვის გამართული ბრძოლა სიდნეისთან). ამასთან, სამარანჩმა აღნიშნა, რომ უახლოეს მომავალში მაგიდის ჩოგბურთელთა ოლიმპიური პროგრამა გაიზრდება გუნდური შეჯიბრების ხარჯზე (რითაც დაინტერესებულია ჩინეთის ეოკ-ი).

● ატლანტა-96-ის საორგანიზაციო კომიტეტის შეფმა ბილ პეინმა 900-მდე ამერიკულ ფირმისა და კომპანიის ხელმძღვანელთ მოუწოდა არ გამოიყენონ სტიქიურად ოლიმპიური სიმბოლიკა და ხელშეკრულებები გააფორმონ კანონიერად. პეინის აზრით, ამ დარგში თვითნებური ქმედება ორგანიზატორებს დიდ ფინანსიურ ზარალს მიაყენებს და საქვეყნოდ გაუტეხს სახელს შტატებს.

● ჯორჯიას შტატის გუბერნატორის ზელ მილერისა და ატლანტის მერის ბილ კემპბელის განცხადებით, არაფერია დასაძრახი იმაში, რომ ორგანიზატორები ოლიმპიადის საპატიო სტუმრების მოწვევისას უპირატესობას ანიჭებენ ცნობილ პიროვნებებსა და პოლიტიკურ მოღვაწეებს. 435 ასეთმა პიროვნებამ უკვე მიიღო გახსნისა და დახურვის ცერემონიალზე ბილეთები. რიგითი ამერიკელები ორგანიზატორთა ასეთ პოლიტიკას დისკრიმინაციას უწოდებენ და მკაცრად აკრიტიკებენ.

● საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა იაპონიის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს 100 ათასი ამერიკული დოლარი აჩუქა. ეს თანხა გამოიყენება კობესა და მის მიდამოებში მიწისძვრით დაზიანებული ოლიმპიური ობიექტების შესაკეთებლად.

● საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ 2000 წლის ოლიმპიური თამაშების დაფინანსებასთან დაკავშირებით სიდნეი გარკვეული პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. ყველაზე უფრო გაუგებარია ის, რომ ჯერჯერობით ვერ გამოიძებნა სტაბილური სპონსორები. ამის გამო ახალი, სამხრეთ უელსის შტატის მთავრობას თავისი ბიუჯეტიდან დაახლოებით 440 მილიონი დოლარის გამოყოფა მოუხდება. როგორც ავსტრალიის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში ფიქრობენ, ნაწილობრივ ხელი უნდა გამოიღოს ფედერალურმა ხელისუფლებამაც, სხვაგვარად სიდნეი ფინანსურ პრობლემებს ვერ გადაწყვეტს.

# ანატოლი კარპოვი: „ახალი მატჩი ახლა კასპაროვს უფრო სჭირდება!"

ფიდეს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონმა ჭადრაკში ანატოლი კარპოვმა ვრცელი ინტერვიუ მისცა ჟურნალ „64-შახმატნოე ობოზრენიეს" მთავარ რედაქტორს ა. როშალს, რომელიც ჭადრაკის სამყაროში მის ერთგულ პიროვნებად ითვლება და გაზეთ „იზვესტიის" კორესპონდენტ ი. ვასილიევს. აი ეს საუბარი მცირე შემოკლებით.

**● თქვენს თამაშში არნახული რენესანსია. ასეთი აღმავლობა ასეთ ტურნირში! (როშალი გულისხმობს კარპოვის დიდ ტრიუმფს ლინარესში, სადაც მან 13 შესაძლებლიდან 11 ქულა მოაგროვა და 2,5 ქულით ჩამოიტოვა გარი კასპაროვი, მრავალი წლის განმავლობაში პირველად!). იღბალზე შემდეგ ვისაუბროთ, ახლა კი გვითხარით, თვითონ როგორ ხსნით ამ გასაოცარ წარმატებას?**

— 1993 წელს მოვიგე ყველაფერი, რისი მოგებაც კი შეიძლებოდა. ეს წელი, ფაქტობრივად, ჩემი გამარჯვებების სერიისგან შედგებოდა. მე თითქოს გამომელვიძა, ადრე კი, თუ კარგი მზადყოფნა მქონდა, — ვიგებდი, თუ არა — ვაგებდი...

**● თქვენი საჭადრაკო კარიერის მანძილზე სულ რამდენ ტურნირში გაიმარჯვეთ?**

— ეს ტურნირი ლინარესში 125-ე იყო.

**● ჩემი მხრივ, თანამედროვე საჭადრაკო ტურნირებში ვერ ვიხსენებ ვინმეს მსგავსი წარმატებებისთვის რომ მიეღწიოს. მე ლინარესის ორ უკანასკნელ ტურნირს ვესწრებოდი და ვნახე სრულიად ბრწყინვალე ანატოლი კარპოვი, თუკი მის პარტიებს კასპაროვისას შევადარებთ. აქ რაღაც მეტამორფოზაა, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის. როგორ ხსნით ამ ამბავს?**

— აქ მე ძალზე თავისუფლად ვთამაშობდი.

**● რას იტყვით იღბლის ელემენტზე, რომელიც ამ ტურნირში გქონდათ?**

— იღბალი განწყობილების შემადგენელი ნაწილია. რაც შეეხება ყოველივე დანარჩენს, მზად ვარ ჩემი პარტიები დიდოსტატებთან ერთად გავარჩიო. იქ გამოჩნდება ყოველივე ეს იღბალია, თუ სხვა რამ.

**● ჩვენი აზრით, თქვენი ახალი აღმავლობა არცთუ მცირედით არის დაკავშირებული მსოფლიო ჩემპიონის წოდების დაბრუნებასთან.**

— არა, საქმე ასე არ არის. 1985 წლის მიწურულიდან უკანასკნელ წლებამდე მე ჩემს ქვეყანაში და საზღვარგარეთაც სასტიკად მდევნიდნენ. ორი უკანასკნელი წელიწადია წნეხი, ცოტა არ იყოს, შესუსტდა.

**● თქვენ გდევნიდნენ?!**

— დიახ, ჩვენს ქვეყანაში...

**● მაგრამ თქვენ ხომ ასეთი სერიოზული თანამდებობები გიკავიათ?**

— თქვენ მშვიდობის ფონდს გულისხმობთ? ა. იაკოვლევი ჩემს ადგილს ჯერ კიდევ 1989 წელს ცნობილ კოსმონავტ სვეტლანა სავიცკაიას სთავაზობდა, მაგრამ რაღაც არ გამოუვიდათ. სპორტკომიტეტის თავმჯდომარე მ. გრამოვი მემუქრებოდა ჰამბურგში სასამართლო პროცესთან დაკავშირებით გერმანელი ჟურნალისტის წინააღმდეგ, რომელიც ჩემი სახელით სპეკულაციას ეწეოდა. იყო სხვა კონფლიქტებიც, მაგალითად, ჰ. ალიევთან. მთელი ამ წლების განმავლობაში ძნელი ცხოვრება მქონდა, ამიტომაც იყო, რომ გამიჭირდა კასპაროვთან მატჩებში მოსკოვსა და ლენინგრადში. ბოლო ხანებში, წლებშიც კი (ამას ძირითადად კასპაროვს უნდა ვუმადლოდე, რომელიც ახლა ხალხს თავის წინააღმდეგ განაწყობს) ცოტა თავისუფლება მივიღე. მე აღარ მიყურებენ როგორც დევნილს, ცოტა ამოვისუნთქე.

**● დიახ, მაგრამ, ხომ კასპაროვი ჩიოდა, რომ ცუდად ექცეოდნენ, საზღვარგარეთის ტურნირებში სათამაშოდ არ გზავნიდნენ.**

— ის ამტკიცებს, რომ ტურნირებში არ ათამაშებდნენ, ფაქტები და ისტორია კი სულ სხვა რამეზე მიგვითითებს. 1984 წელს, ჩვენი 1985 წლის მატჩის წინ, მე, ტრადიციის თანახმად, ბუგოინოში უნდა მეთამაშა, რათა ამ მატჩისთვის მომზადებულიყავი: კასპაროვმა გამონახა საშუალებები და თვით გადაწყვიტა იქ თამაში. მე იძულებული ვიყავი სხვა ტურნირი მომეძებნა. შემდეგ თვით კასპაროვმაც არ მოინდომა ბუგოინოში თამაში. ასე რომ, ჩვენი ურთიერთობა რთულია.

**● რა შეიძლება გვითხრათ ჭადრაკის გაყოფაზე ორ პარალელურ სამყაროდ — ფიდესა და რსა-ს (პროფესიული საჭადრაკო ასოციაცია) ბანაკებად? რად მიგაჩნიათ თქვენი თავი ფიდეს ჩემპიონად თუ მსოფლიო ჩემპიონად?**

— მე ამაზე კასპაროვის სიტყვებით გიპასუხებთ. როცა მან შარშან ლინარესში დამამარცხა და პირველი ადგილი დაიკავა, თქვა, რომ ეს მსოფლიოს სატურნირო ჩემპიონატი იყო. შეეკითხეთ, ახლაც ამავე აზრისა არის ლინარესის წლევანდელი ტურნირის შემდეგ, თუ არა?

**● კარგი პასუხია. თქვენი მტრობა უკვე მრავალი წელია გრძელდება. შეიძლება სწორედ ამან წარმოშვა თქვენი წლევანდელი ფენომენური შედეგი?**

— დიახ, ასე გახლავთ. მეც იმის დამტკიცებას ვცდილობდი, რომ მხოლოდ ფიდეს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონი კი არა ვარ, არამედ რაღაც უფრო მეტი. მაგრამ თუკი სიტუაციის უფრო ღრმა გაგებაზე ვილაპარაკებთ, გეტყვით, რომ არავითარი ორი საჭადრაკო სამყარო არ არსებობს. არის ერთი საჭადრაკო სამყარო და ერთი მცირე ორგანიზა-



ანატოლი კარპოვი.

ცია, რომელიც დამკვიდრებას შეეცადა. ამ ორგანიზაციას, რსა-ს, არც ქალების ჭადრაკი აინტერესებს, არც ჭაბუკებისა და ბავშვებისა. იგი აპირებს მხოლოდ პროფესიონალ მოჭადრაკეთა ზედაფენებს მოკიდოს ხელი. ისე, რომ ფიდესა და რსა-ს შედარება არაკორექტულია...

**● ვესაუბრეთ კრამნიკსა და სხვა წამყვან მოჭადრაკეებს. ისინი დაიბნენ, სად ითამაშონ, რომელ, ფიდესა თუ რსა-ს შეჯიბრებებში? ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ფიდე სერიოზულ კრიზისს განიცდის და, ამდენად, რსა-ს შექმნა დროული და გამართლებულია?**

— ფიდე-ში წესრიგი არც ადრე ყოფილა და არც ახლა არის.

**● თქვენ დიდი საჭადრაკო პროფესიონალი ხართ. როგორ აფასებთ კასპაროვის მიერ ხელმოწერილ დიდ კონტრაქტებს მოჭადრაკეთა ჰონორარის გაუმჯობესების თვალსაზრისით, მათი პროფესიული საქმიანობის უკეთ წასამართავად?**

— კონტრაქტების ხელმოწერას უარყოფითად ვაფასებ. კონტრაქტები და კონტაქტები, რა თქმა უნდა, კარგია, მე გამიხარდება, თუ რაიმე სხვა ფირმებსაც მონახავენ. ჩვენ ჭადრაკში პროფესიონალიზმის მაღალი დონე უნდა შევინარჩუნოთ, მაგრამ მე ის არ მომწონს, როგორ იყენებენ ამ კონტრაქტებით მიღებულ ფულს. მე მიმაჩნია, რომ ჭადრაკში კასპაროვი ისეთივე სისტემას ამყარებს, როგორი გზითაც, ვთქვათ, შეჯიბრებები იმართება ჩოგბურთში: მონაწილეები ყველაფერზე ფულს თვითონ იხდიან და პრიზების მოპოვების იმედი აქვთ, მაგრამ ჭადრაკს ეს სისტემა არ შეეფერება. ჭადრაკში რეკლამა მალე არ დამკვიდრდება, ეს უფრო რჩეულთათვის არის განკუთვნილი, პრიზებიც ჯერჯერობით შედარებით მცირეა. ახლა ისე გამოდის, რომ რსა-ს ტურნირებში 15-20 მოჭადრაკისთვის 8-10 მაღალი პრიზია, დანარჩენები კი მეტ საკუთარ ფულს დახარჯავენ, ვიდრე პრიზის სახით მიიღებენ. დაიმახსოვრეთ: დაახლოებით ერთი წლის შემდეგ ასეთ ტურნირებში, კასპაროვი რომ აწყობს, არავინ ითამაშებს, ეკონომიკური თვალსაზრისით აზრი არ ექნება მონაწილეობას. ასიდან ერთს თუ ექნება საშუალება კარგი პრიზი მიიღოს. გამოდის, რომ საჭადრაკო ზედაფენები „გაატყავებენ" საშუალო და დაბალ ფენებს. თუ ჩოგბურთში პრიზები მთავარი არ არის, მთავარია კოლოსალური რეკლამა, რომელიც წამყვან ჩოგბურთელებს მეტ შემოსავალს აძლევს, ვიდრე ისინი პრიზის სახით იღებენ, მაგრამ ჭადრაკში რეკლამა არ არსებობს, აქედან ვერაფერს მიიღებ!

გარდა ამისა, რსა-მ ძალზე სახიფათო რამ ჩაიფიქრა, რომლისთვისაც მოჭადრაკეებს დღემდე ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევიათ. იგი თავის ტურნირებს სწორედ იმ ვადებში ნიშნავს, როცა, ვთქვათ, ტილბურგის, ლინარესის ტრადიციული ტურნირებია...

**● თქვენ მთლიანად ეთანხმებით ფიდეს პოზიციას? ხომ არ გახდა ფიდე არქაული?**

— ჯერ ის ავხსნათ, რა იყო ფიდე და ახლა რას წარმოადგენს. ეს არის გაერთიანება ეროვნული საჭადრაკო ფედერაციებისა, რომლებიც ღარიბები არიან, მაგრამ ჭადრაკის სამყაროს ისეთი ორგანიზაცია სჭირდება, როგორიც ფიდეა (ან რაღაცა მისი მსგავსი). ფიდეს უამრავი პრობლემა აქვს. მე არც ფიდეს ახლანდელ პრეზიდენტს ვუჭერ მხარს, არც მის ახლანდელ სტრუქტურას, მაგრამ ერთხელ კიდევ ხაზგასმით ვამბობ — საჭადრაკო სამყარო ფიდეს გარეშე ვერ იარსებებს, მისი დანგრევა არ შეიძლება. რსა-ს არ შეუძლია ფიდეს შეცვლა.

**● თქვენ ახლა არავის წინააღმდეგ თამაშისა არ გეშინიათ. ეს კასპაროვსაც ეხება?**

— რატომაც არა.

**● ერთი სიტყვით, თუკი ამ მატჩისთვის სათანადო პირობები შეიქმნება, თუკი თქვენ ღირსეულს მოგაგებენ... საკითხი ასე დავსვათ: მე დიდი ხანია თქვენ გიცნობთ, როგორც გამოჩენილ მოჭადრაკეს, ადამიანს, რომელიც უარს არ ამბობდა ნებისმიერ გამოწვევაზე და დამარცხებასაც ვაჟკაცურად იტანდა, მეორე მხრივ, კასპაროვს არაერთხელ უთქვამს, რომ დამაჯერებლად თქვენი დამარცხება ვერ შეძლო. თქვენი მეტოქეობა თითქოს ზემოდან არის განსაზღვრული და უკვე ათ წელზე მეტია, რაც გრძელდება. გინდათ თუ არა მასთან ერთხელ კიდევ მატჩის თამაში?**

— დიახ, მინდა. მაგრამ ახლა ეს მატჩი ჩემზე უფრო კასპაროვს სჭირდება.

**● ლინარესის შემდეგ?**

— ჯაკარტის შემდეგ, როცა ნათელი გახდა, რომ მე ყველა პრეტენდენტზე გაცილებით უკეთ ვთამაშობ. ახლა უკვე ყველასათვის ცხადია, რომ ჩვენ ორი, ასე ვთქვათ, მთავარი მოჭადრაკე ვართ. კასპაროვი იმარჯვებს ტურნირებში, მაგრამ ამ გამარჯვებებს დამაჯერებლობა აკლია. ამას იგი თვითონაც შესანიშნავად გრძნობს. ახლა, ტილბურგსა და ლინარესში ჩემი წარმატებების შემდეგ, ჩემთან შეხვედრა მისთვის აუცილებელიც კია. ჩემი მხრივ ასე ვიტყოდი: თუ ღირსეული წინადადებები იქნება, ეს მატჩიც შედგება.

**● იმის თქმა ხომ არ გინდათ, რომ ამ მატჩის გარეშეც არაფერი დაგაკლდებათ?**

— მე ჭადრაკს კასპაროვის გარეშეც ღირსეულად ვთამაშობდი. აი, როგორ თამაშობდა იგი უჩემოდ...

**● თქვენ ტურნირის ორგანიზატორებისგან მოითხოვდით ისეთივე ჰონორარი მოეცათ, როგორც კასპაროვისთვის.**

— დიახ, რატომ უნდა მქონდეს კასპაროვისგან განსხვავებული პირობები? განა მე ჭადრაკში ნაკლები გავაკეთე, ვიდრე კასპაროვმა? ადრე, სანამ იგი ფიდეს არ დატოვებდა, მოვითხოვდი იმ თანხის 80 პროცენტს, რომელსაც კასპაროვს უხდიდნენ. იმიტომ, რომ იგი მსოფლიო ჩემპიონი იყო. ახლა მდგომარეობა შეიცვალა.

**● და მაინც როდის შეხვდებით საჭადრაკო დაფასთან კასპაროვს?**

— ჯერჯერობით არ ვიცი.

მოამზადა
გივი თორელმა.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

● წლევანდელი საფეხბურთო სეზონის საუკეთესო მოთამაშედ შოტლანდიაში მიიჩნიეს „გლაზგო რეინჯერსის" დანიელი ფორვარდი ბრაიან ლაუდრუპი. იგი პირველი უცხოელი ფეხბურთელია, რომელმაც შოტლანდიის №1 მოთამაშის ტიტული დაიმსახურა.

ამ პრესტიჟული აღიარების შემდეგ „რეინჯერსის" პრეზიდენტმა დევიდ მიურეიმ 10 მილიონი გირვანქა სტერლინგი გამოჰყო ახალი ფეხბურთელების შესაძენად, კლუბის მწვრთნელმა უოლტერ სმითმა კი ოფიციალურად გამოაცხადა, რომ რომის „ლაციოდან" 4,5 მილიონ გირვანქა სტერლინგად უკვე შეიძინეს მცველი პოლ გასკოინი.

● სამწუხარო ამბავი მოხდა პორტუგალიაში „სპორტინგისა" და „ბენფიკას" კალენდარული მატჩის დროს. როცა „ჟოზე ალვალადეს" სტადიონზე შემოვიდა „ბენფიკას" ავტობუსი, ზემო იარუსზე მსხდომმა გულშემატკივრებმა იმისათვის, რომ დაენახათ როგორ გადმოდიოდნენ მანქანიდან ფეხბურთელები, მიაწყდნენ სტადიონის ჯებირს, რომელმაც ვერ გაუძლო მაყურებელთა მოზღვავებას, ჩამოინგრა და გულშემატკივართა ნაწილი 10 მეტრიდან გადმოეშვა ძირს. ერთი მათგანი ადგილზევე გარდაიცვალა, 25 სერიოზულად დაშავდა. მატჩი მაინც შედგა, იგი დამთავრდა „სპორტინგის" გამარჯვებით 1-0.

● ბრიუსელში დამთავრდა 16 წლამდე ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი, ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ძველი მეტოქეები — პორტუგალიისა და ესპანეთის გუნდები. ანგარიშით 2-0 გაიმარჯვეს პორტუგალიელებმა. აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყნის ჭაბუკი ფეხბურთელები სისტემატურად იმარჯვებენ დიდ საერთაშორისო ტურნირებში.

● არგენტინელი ფეხბურთელი დიეგო მარადონა ბოლო თვეებში, როგორც ცნობილია, ამ ქვეყნის პოპულარულ კლუბს „რესინგს" წვრთნიდა. კლუბის პრეზიდენტი 1988 წლიდან იყო ხუან დე სტეფანო, მაგრამ იგი გადადგა, თავისი პოსტი დაუთმო ოსვალდო ოტეროს, რის შემდეგ მარადონამაც დაუყოვნებლივ გაწყვიტა კონტრაქტი „რესინგთან". „მე მჭიდრო მეგობრობა მაკავშირებდა დე სტეფანოსთან, გადაწყვეტილიც გვქონდა დისკვალიფიკაციის ვადის გავლის შემდეგ ამ გუნდში მეთამაშა, მაგრამ დე სტეფანო კლუბიდან წავიდა, წავედი მეც".

● ესპანეთის „ბარსელონა" ბოლო ხანებში ვერ გამოირჩევა სტაბილური თამაშით, ამიტომაც კლუბის ხელმძღვანელობას განზრახული აქვს შემადგენლობის განახლება. კერძოდ, „ბარსელონამ" თავის რიგებში მიიწვია ბოსნიელი ფორვარდი მეხო კოდრო, გარიგებამ 5,8 მილიონი დოლარი შეადგინა.

● მილანის „ინტერმა" ჰოლანდიის „ეინდჰოვენს" მიჰყიდა ვიმ იონკი, სამაგიეროდ, იქიდანვე შეიძინა ცნობილი ბრაზილიელი ოსტატი რონალდო. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება საკონტრაქტო თანხაზე, ვინაიდან რონალდო ჯერ მხოლოდ 18 წლისაა, ხოლო „ეინდჰოვენთან" ხელშეკრულება



კი 1999 წლამდე აქვს დადებული.

● ცნობილ ჰოლანდიელ ფეხბურთელს რუუდ გულიტს წლეულს ზაფხულში საკონტრაქტო ვადა უთავდება იტალიის „სამპდორიასთან". ამიტომაც რ. გულიტს „უმიზნებენ" იტალიის „მონაკო", იაპონიის „ნაგოია ბრამბუს ეიტი", თურქეთის „გალათასარაი" და სხვანი. ყველაზე მეტი შანსი, თითქოს, „გალათასარაის" ჰქონდა, რომელიც 5 მილიარდ ლირას სთავაზობდა ფეხბურთელს ორწლიანი კონტრაქტისთვის, მაგრამ რ. გულიტმა განაცხადა, რომ თანხას მისთვის მნიშვნელობა არა აქვს და შესაძლოა მომავალი წლიდან ისევ „ფეიენოორდში" ამოჰყოს თავი, სადაც იგი უკვე გამოდიოდა 1982-85 წლებში.

● საოცარი ამბავი მოვიდა ინგლისიდან: ამ ქვეყნის ერთ-ერთმა უმდიდრესმა ბიზნესმენმა ლონდონის „ჩელსის" თავგამოდებულმა ქომაგმა მეტიუ ჰარდინგმა შეისყიდა ამ კლუბის სტადიონი „სტენფორდ ბრიჯი", გადაიხადა 16,5 მილიონი გირვანქა სტერლინგი, რითაც მნიშვნელოვნად შეავსო კლუბის შერყეული ფინანსიური მდგომარეობა. მეტიუ ჰარდინგმა, გარდა ამისა, გადაწყვიტა კიდევ 5 მილიონი გამოჰყოს სტადიონის მთავარი ტრიბუნის სარეკონსტრუქციოდ და 2,5 მილიონი — ახალ მოთამაშეთა შესაძენად. იტყობინებიან, რომ მეტიუ ჰარდინგს, 150 მილიონი გირვანქა სტერლინგი აქვს და ინგლისის უმდიდრესთა შორის 45-ე ადგილზე იმყოფება.

■

## მწვრთნელის ხსოვნა თაობებში გადადის

ბორის ჰელიძეს ისიც ეყოფოდა საამაყოდ, რომ ქართულ ფეხბურთს, და არა მარტო ქართულს, შესძინა ტყავის ბურთის ისეთი შესანიშნავი ოსტატი, როგორიც დავით ყიფიანია. საერთოდ, მის აღზრდილებს ადვილად გამოარჩევდით თამაშის განუმეორებელი ხელწერითა და მაღალი ოსტატობით.

ანდრო ჟორდანიას სახელობის დილმის საწვრთნელ ბაზაზე ჩატარდა სახელოვანი მწვრთნელის ხსოვნის მეშვიდე ტრადიციული ტურნირი 1978-79 წ.წ. დაბადებულ ფეხბურთელთა შორის. პრიზის ოთხგზის მფლობელი „მთვარის გლობუსი" ვერაფერს გახდა „დინამო 78"-თან, პენალტების სერიით ფინალში გავიდნენ დინამოელები. მეორე ნახევარფინალურ წყვილში „დინამო 79"-მა სძლია სკოლის გუნდს, ფინალში კი თანაკლუბელები დაამარცხეს — 4-1. მესამე ადგილი წილად ხვდა 35-ე სკოლელებს.

გამარჯვებულებს თასი დავით ყიფიანმა გადასცა.



### აწმყო, შობილი წარსულისაგან...

**ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში ევროპელთა გამოჩენამდე გავრცელებული იყო ფეხბურთის სხვადასხვაგვარი თამაში. არგენტინის ჩრდილოეთით, ამაზონკის ტროპიკულ ტყეებში, კარიბის ზღვის კუნძულებზე, იუკატანის ნახევარკუნძულის მაიას ტომებსა და ცენტრალურ და ჩრდილოეთ მექსიკაში (კერძოდ, აცტეკებში) ცნობილი იყო კაუჩუკის ბურთით თამაში.**

# ქვის სტადიონების საიდუმლოება

თამაშობდნენ სპეციალურად დახაზულ მოედნებზე, გუნდი გუნდს ხვდებოდა. მთლიანი კაუჩუკის ბურთის სიმძიმე თამაშის სხვადასხვა თავისებურ ფორმასაც განსაზღვრავდა: უიტოტოს (კოლუმბია) ინდიელები მხოლოდ მუხლით ურტყამდნენ ბურთს, ოტონკელები (ვენესუელა) — მხოლოდ მხრებით, ზოგიერთი ინდიელი ტომები — მარტო თავით.

ყველას ერთიანად ეკრძალებოდა ხელის მტევნით ბურთზე შეხება.

კოლუმბამდე, ამერიკის მეტ-ნაკლებად განვითარებულ სხვადასხვა ხალხთა შორის (აცტეკები, მაია) ბურთის თამაში რიტუალურ მოქმედებად, ღმერთების პატივსაცემ წმინდა მსახურებად იქცა.

ბურთის რიტუალურმა თამაშმა განაცვიფრა ესპანელი ჟამთაღმწერები, რომლებიც კვალდაკვალ მიჰყვნენ ამერიკის დამპყრობთა რაზმებს. რთული და მდიდრული მსახურება, თამაშს წინ რომ უსწრებდა, სპეციალური სტადიონები და მოედნები, ქვაზე ამოკვეთილი ღმერთების გამოსახულებით დამშვენებული, ბურთის ფლობის უჩვეულო ტექნიკა, თამაშის თავისებური წესები, დაბოლოს, ამ რიტუალის დამაგვირგვინებელი მსხვერპლის გაღება ძალზე დაწვრილებითაა აღწერილი.

მაიასა და აცტეკების თითქმის ყველა ქალაქში არის არქეოლოგიური აღმოჩენები ბურთის საკულტო თამაშის (168 მ სიგრძის) სწორკუთხა მოედნები. სტადიონის ნაწილს, სადაც თამაშობდნენ ბურთს, გარს შემორტყმული ჰქონდა ქვის მაღალი ბაქანი, რომლის შუაგულში მაგრდებოდა დაახლოებით ბურთის (3,5 კგ-მდე წონისა) დიამეტრის ქვის რგოლები. აცტეკთა საკულტო თამაშის პირველი აღწერა XVI საუკუნეს მიეკუთვნება. თამაშის ადგილს ინდიელები „ტლაჩლის" ან



„ტლაჩკოს" უწოდებდნენ. მოედანი ორ კედელს შუა ქუჩას წარმოადგენდა, კედლებს დაუყვებოდა კიბე. სარბიელზე უამრავი ხალხი იყრიდა თავს.

მკითხაობით ადგენდნენ საზეიმო თამაშის დროსა და ადგილს. რიტუალურ შეხვედრებში უმთავრესად წარჩინებულნი მონაწილეობდნენ, თუმცა არც გაწაფულ მდაბიოებს ივიწყებდნენ. ბურთზე დარტყმა ნებადართული იყო მხოლოდ თეძოებითა და დუნდულათი, რის გამოც „გოლი" დიდ იშვიათობას წარმოადგენდა. კულმინაციური მომენტი ის გახლდათ, როგორც აღწერს ფრანგი ბერი მოგოლინია, როცა მოთამაშეს ბურთი საოცარი, „ეშმაკისეული ხელოვნებით"... თეძოთი უნდა გაეტანა.

აცტეკები თითქმის შიშვლები დასდევდნენ ბურთს, მარტო თეძოები ჰქონდათ დაფარული, მაიებს კი ალბათ, თამაშის განსაკუთრებული წესების გამო, თავით ფეხებამდე სამოსი ეცვათ.

მექსიკაში აღმოჩენილია ჩვენს ერამდე, XIV საუკუნეში შექმნილი მოთამაშის ქანდაკება. გვატემალის მკვიდრთა ინდიელ კიჩეს ტომის ეპიკური ნაწარმოების გმირებმა — ღვთაებრივმა ტყუპებმა ხუნ-ახპუ და შაბალანკემ სწორედ ბურთის თამაშით განარისხეს ქვესკნელის მეუფენი.

საკულტო თამაშთან ერთად, რომელსაც კათოლიკური ეკლესია სდევნიდა, ყურადღება მიიპყრო აგრეთვე ინდიელთა დასახლებებში ფართოდ გავრცელებულმა მასობრივმა სპორტულმა თამაშებმა.

სინალოასა და ნათარიტის შტატებში დღესაც შეხვდებით ორ სხვადასხვაგვარ თამაშს: „ულამა დე ანტებრასსა" და „ულამა დე კუდეროს" თეძოებით თამაშს, სადაც მოასპარეზენი 500-გრამიან მკვრივ ბურთს დასდევენ. მხრების დასაცავად მოთამაშეები ვიწრო, გრძელ ბამბის ქსოვილს იხვევენ, ცალ მუხლზე კი მუხლსაცავს იკეთებენ.

სამ-სამი კაცისგან შემდგარი გუნდები ცდილობენ განკუთვნილ ზონაში ბურთის მოთავსებას. ქულების ათვლა ძალზე რთულია, თვით თამაში კი შეიძლება გაგრძელდეს... ორ დღემდე.

მეტ ოსტატობას მოითხოვს „ულმა დე კადერო", სადაც მხოლოდ თეძოთი შეიძლება ბურთის მოგერიება. ამიტომ, იგი ძლიერ წააგავს აცტეკთა უძველეს თამაშს. თანამედროვე მოედნის სიგრძე 65 მეტრია, სიგანე — ოთხამდე. ერთმანეთს ხვდება 5-5-კაციანი ორი გუნდი. მონაწილეებს წელზე არტყიათ ფართო ტყავის ქამრები, ცდილობენ 3-კილოგრამიანი ბურთის ჰაერში მოგერიებას. აქაც ქულათა რთული ათვლაა. წესების დარღვევისას უქმდება დაგროვილი ქულები, იმარჯვებს ის მხარე, რომელიც პირველად დააგროვებს 8 ქულას.

სამწუხაროდ, ეს თამაშები თანდათანობით დავიწყებას ეძლევა, რადგან ლათინოამერიკის სოფლებში თანამედროვე ფეხბურთი უფრო პოპულარულია.

## რა ხდება ქვეყანაზე

● ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის გარკვეული ცნობილი ამერიკელი ჩოგბურთელის ვიტას გერულაიტისის ტრაგიკულად დაღუპვის ამბავი. შარშანდელის შემდეგ ძიებამ ბევრ საიდუმლოებას ახადა ფარდა, მაგრამ ბევრი ჯერ კიდევ ამოუცნობია. ამასობაში გარდაცვლილის ოჯახმა სარჩელი შეიტანა მანჰეტენის სასამართლოში და ითხოვს კომპენსაციას. ადვოკატები დარწმუნებული არიან, რომ საქმე გერულაიტისების სასარგებლოდ გადაწყდება და დაღუპულის ახლობლები მიიღებენ 63 მილიონ დოლარს.

● ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტმა ჰეინ ვერბრიუგენმა ოფიციალურად განაცხადა, რომ გისად უველაზე პრესტიჟული მრავალდღიანი ველორბოლა „ტურ დე ფრანსი" ერთი კვირით ადრე დაიწყება. წლების მანძილზე მყარი გრაფიკის შეცვლა გამოიწვია იმან, რომ მსოფლიოს ბევრ წამყვან ველოსიპედისტს სურს ატლანტის ოლიმპიურ თამაშებში ასპარეზობა. როგორც ხედავთ, პროფესიონალები „ამნისტირებული" არიან კიდევ ერთ ოლიმპიურ დისციპლინაში.

● მოსალოდნელია, რომ სულ მალე იტალიასაც ეყოლება თავისი წარმომადგენელი ნბა-ში. ეს იქნება ალბათ 27 წლის სტეფანო რუსკონი (207 სმ. სიმაღლე), რომელიც ამჟამად ტრევიზოს „ბენეტონში" თამაშობს. ამბობენ, რომ სამწლიანი კონტრაქტი „ფინიქსთან", ფაქტობრივად, ორთავე მხარის მიერ არის მოწონებული და მისი ოფიციალური გაფორმება მოხდება ევროპის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ. თუმცა რუსკონის ჰყავს ერთი კონკურენტი და თუკი მან იჩქარა, შეიძლება ის გახდეს პირველი იტალიელი ნბა-ში. ეს არის ახალგაზრდა, მეტად ნიჭიერი და პერსპექტიული მცველი ვინჩენცო ესპოზიტო, რომელთანაც მოლაპარაკებას ეწევა ნბა-ს 1996 წლის სეზონის დებიუტანტი „ტორონტო რეპტორსი".

● მსოფლიოს ექსჩემპიონი მოტორბოლაში (500-იანებით) ამერიკელი კევინ შვანტცი თავს ანებებს სპორტს. 31 წლის მოტოციკლისტის განცხადებით ასეთი გადაწყვეტილება გაუთავებელმა ტრავმებმა მიაღებინა, რის გამოც რამდენიმე მნიშვნელოვანი შეჯიბრება გამოტოვა და კაცმა არ იცის კიდევ რამდენს გამოტოვებს. შვანტცს თავისი კარიერის მანძილზე ჯერ მარტო „გრან-პრის" ასპარეზობებში 25 გამარჯვება აქვს მოპოვებული.

● მსოფლიო ველოსპორტის ამომავალი ვარსკვლავი იტალიელი მარკო პანტინი („კარერა"), რომელიც სამთო ეტაპების საუკეთესო სპეციალისტად ითვლება, სპორტული ფორმის აღდგენის მიზნით (მას ტრავმა ჰქონდა მიღებული და ერთხანს შეჯიბრებებში არ გამოდიოდა) ინდივიდუალური გრაფიკით ემზადება „ტურ დე ფრანსისათვის". მანამდე კი მონაწილეობას მიიღებს საკმაოდ პრესტიჟულ შვეიცარიის ტურში.

● რეიტერის სააგენტოს ცნობით, ჰოლანდიის კარატეს ასოციაციამ საპატიო წევრად მიიღო ამსტერდამის „აიაქსის" ფეხბურთელთა გუნდის უფროსი მწვრთნელი ლუი ვან გალი, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩის მსვლელობის დროს (იტალიის „მილანთან") ბრწყინვალე აკრობატული ნახტომი — „ულტრა სი" შეასრულა. საბედნიეროდ, განაცხადა ასოციაციის მდივანმა, ეს ნახტომი ტელევიზიით მთელმა მსოფლიომ ნახა, ამიტომ ვერავინ დაგვაბრალებს მიკერძოებას.

● აკრძალული სამედიცინო პრეპარატების დარგში მსოფლიოს ერთ-ერთმა წამყვანმა სპეციალისტმა, კიოლნელმა (გერმანელმა) პროფესორმა მანფრედ დონიკემ ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ დოპინგის კვალი შარდში უფრო მეტ ხანს რჩება, ვიდრე სისხლში, ამიტომ სისხლის ანტისადოპინგო ტესტს ეფექტი არა აქვს. ჩვენ ვალდებული ვართ ანალიზის ტრადიციული მეთოდი უცვლელად დავტოვოთ.

რა ხდება ქვეყანაზე

## ნოვაციები მსოფლიო ჩემპიონატზე

**ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის სხდომაზე, ციურიხში, რამდენიმე სიახლე დააწესეს მომავალ მსოფლიო ჩემპიონატისთვის (1998 წელი, საფრანგეთი). კერძოდ:**

ძალაში შევა ე.წ. „უეცარი სიკვდილის" წესი: გუნდი, რომელიც დამატებით დროში პირველი გაიტანს გოლს, გამარჯვებულად ითვლება, ხოლო თამაში წყდება. ეს შემტევი ფეხბურთის სტიმულია და დამატებითი 11-მეტრიანების სერიას გვარიდებს თავიდან.

„უეცარი სიკვდილის" წესი დააკანონეს ინგლისის ევროპის ჩემპიონატზე.

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მონაწილეთა რაოდენობა 24-დან გაიზარდა 32-მდე, თვით გათამაშება დაიწყება 1998 წლის 10 ივნისს და დამთავრდება 12 ივლისს. შესარჩევი ციკლის წილისყრა 12 დეკემბერს გაიმართება ლუვრში.

შეიქმნა სპეციალური კომისია ფეხბურთში გავრცელებული კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად. კომისიის თავმჯდომარეა ფიფას გენერალური მდივანი იოზეფ ბლატერი.

გარდა ამისა:

— ერაყის ნაკრებს ნება დაერთო საერთაშორისო შეხვედრები საკუთარ ქვეყანაში გამართოს, თუ მეტოქეებს საწინააღმდეგო არაფერი ექნებათ.

— პალესტინის, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის გუნდებს ნება დაერთოთ მონაწილეობა მიიღონ ამხანაგურ (და არა ოფიციალურ) საერთაშორისო შეხვედრებში.

—ნიგერია არ დაისაჯოს იმისთვის, რომ უარი განაცხადა იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობაზე მას შემდეგ, რაც ეს შეჯიბრება კატარში გადაიტანეს.

FRANCE 98

## ზაზა ზანდარაშვილი



ტრაგიკულად დაიღუპა ახალგაზრდა სპორტსმენი, სასტენდო სროლაში სპორტის ოსტატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი ზაზა ზანდარაშვილი.

სპორტს უმაწვილობიდან ეზიარა, სერიოზულად ვარჯიშს კი სასტენდო სროლაში შეუდგა და თავიც მალე გამოიჩინა. იყო საქართველოს ორგზის ჩემპიონი. საბჭოთა კავშირის პირველობაში ერთხელ მეორე ადგილზე გავიდა იუნიორთა შორის, მომდევნო წელს კი უძლიერესის სახელი მოიპოვა. იყო აგრეთვე საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების თასის მფლობელი. ბოლო წლებში წარმატებით იასპარეზა კვიპროსის და სირიის საერთაშორისო ტურნირებში — დაიკავა შესაბამისად პირველი და მეორე ადგილი. საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ფიზიკური აღზრდის აკადემიაში ეუფლებოდა მწვრთნელის სპეციალობას.

უდროოდ წავიდა ამ ქვეყნიდან ნიჭიერი სპორტსმენი, სამაგალითო მეგობარი და პიროვნება. დიდია ეს დანაკლისი, ისღა დაგვრჩენია ღირსეული პატივი მივაგოთ მის ნათელ ხსოვნას.

საქართველოს რესპუბლიკის სროლის სახეობათა და მშვილდოსნობის ფედერაცია

### ნბა-ს ამბები

## ოლაჯიუვონი ატლანტაში ითამაშებს.

„ჰიუსტონ როკეტსისა" და ნბა-ს წინა სეზონის საუკეთესო კალათბურთელს ხაკიმ ოლაჯიუვონს გადაწყვეტილი აქვს აშშ-ს №3 „ოცნების გუნდში" გამოსვლა და ამ გზით ატლანტის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა. თუმცა, არის გარკვეული პრობლემები, რომელთა მოგვარება აუცილებელია უმოკლეს დროში.

ოლაჯიუვონი დაიბადა და გაიზარდა ნიგერიაში. კალათბურთის თამაშიც იქ დაიწყო, 15 წლისა მოხვდა ხელბურთელთა ახალგაზრდულ ნაკრებში. მერე სასწავლებლად გაემგზავრა აშშ-ს და კალათბურთსაც საბოლოოდ იქ დაუკავშირდა. 1993 წელს მიიღო შტატების მოქალაქეობა, რაც მას ქვეყნის ნაკრების ღირსების დაცვის ავტომატურ უფლებას აძლევდა. ოღონდ, კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციისათვის დროზე უნდა შეეტყობინებინა წერილობით, რომ ატლანტის ოლიმპიადაზე გამოსვლას აპირებდა, მან კი რამდენიმე თვით დაიგვიანა. ამან ფედერაციის ბიუროკრატ მოხელეებს საშუალება მისცა საქმის მოგვარება გაეჭიანჭლებინათ. როგორც იტყობინებიან, კონფლიქტი მოგვარდა და ოლაჯიუვონისა და „ოცნების გუნდის" ერთობლივ სურვილს წინ ვეღარაფერი აღუდგება.

## სიუ ჟუნი ვარჯიშობს და... მარცხდება

ამერიკის ფინანსურმა კომპანია „ბეტერი მარშმა" ბერნში ამხანაგური საჭადრაკო მატჩი მოაწყო მსოფლიო ჩემპიონ სიუ ჟუნსა და ახალგაზრდა საერთაშორისო ოსტატ ლუკას ბრუნერს შორის. ეს იყო ჩემპიონის მზადების დასაწყისი ჟუჟა პოლგართან შეხვედრის წინ.

შეხვედრა ბერნში შვეიცარიის ახალგაზრდა ჩემპიონის უპირატესობით წარიმართა, მან გაიმარჯვა კიდეც ანგარიშით 3,5:2,5. საინტერესოა, რომ მეტოქეებმა ექვს შეხვედრაში სულ ორ დებიუტს მიმართეს: სიუ ჟუნი თეთრებით შეხვედრას მეფის პაიკით იწყებდა, ე.ი. ღია თამაშისკენ მიისწრაფოდა, ამის საწინააღმდეგოდ კი შვეიცარიული კარო-კანის დაცვას მიმართავდა. თვით ბრუნერი თამაშს ყოველთვის ლაზიერის პაიკით იწყებდა, ხოლო სიუ ჟუნი მის საყვარელ ძველინდურ დაცვას ირჩევდა, რომლის ერთგულიც უკვე მრავალი წელია რჩება და საკმაო წარმატებებსაც აღწევს.

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

### პროფესიულ რინგზე

## პირველი რაუნდი: ბოუ — გონსალესი

სულ უფრო იძაბება ურთიერთობა რიდიკ ბოუსა და ხორხე ლუის გონსალესს შორის.

მართალია, ამ ორ მოკრივეს არასდროს არ უყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ კონფლიქტი მნიშვნელოვანწილად გაამწვავა მოახლოებულმა ორთაბრძოლამ, რომელიც 17 ივნისს უნდა გაიმართოს.

ამ დღეებში კონკურენტებმა პრესკონფერენცია მოაწყვეს, რომელსაც უამრავი ჟურნალისტი დაესწრო. ორმხრივი ძიძგილაობისა და მუქარის შემდეგ გონსალესმა განაცხადა, რომ შეხვედრას ბოუსთან განიხილავს, როგორც ლომისა და გიენის ბრძოლას, რომელშიც თავისთავის, ბუნებრივია, ლომის როლი დაიტოვა. ბოუს სიცილად არ ეყო მეტოქის სიტყვები: „ეტყობა გონსალესს არ უნახავს როგორ ხდება გიენის გადაქცევა ლომად. მე ამას უსათუოდ ვუჩვენებ 17 ივნისს. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს იქნება ჩემს სპორტულ კარიერაში ყველაზე იოლი და ტრიუმფული ბრძოლა".

მეტოქეებმა რამდენიმე უშვერი სიტყვით მიმართეს ერთმანეთს, მერე გონსალესმა გადააფურთხა მეტოქისკენ და დატოვა დარბაზი, ბოუ კი კიდევ დიდხანს „კენწლავდა" გონსალესს.

## შესაძლოა ფორმენი ისევ შულცს შეხვდეს

46 წლის მსოფლიო ჩემპიონმა სუპერმძიმე წონაში იბფ-ს (კრივის მსოფლიო ფედერაცია) ვერსიით ჯორჯ ფორმენმა კატეგორიულად განუცხადა ჟურნალისტებს, რომ თავის ტიტულს დაიცავს ან აქსელ შულცთან განმეორებით ბრძოლაში ან მაიკლ მურერთან შეხვედრაში. ადრე ფედერაციის ხელმძღვანელობა ასეთ განცხადებაზე მწვავე რეაგირებას მოახდენდა, ვინაიდან შულცს არ მიიჩნევდა ღირსეულ კანდიდატად. მაგრამ ამასწინანდელი სკანდალური შეხვედრის შემდეგ გერმანელი მოკრივის აქციები დიდად გაიზარდა.

არის კიდევ ერთი მოკრივე, რომელსაც ფორმენის სავარაუდო მეტოქედ ასახელებენ. ეს გახლავთ მსოფლიოს ექსჩემპიონი ევანდერ ჰოლიფილდი, რომელიც მთლიანად გამოჯანმრთელდა და დაგეშილი ეძებს მეტოქეს. მაგრამ ფორმენმა ჰოლიფილდის კანდიდატურა კატეგორიულად უარყო.

სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ყველაზე რეალური და ალბათ კანონიერიც იქნება ფორმენ — შულცის ორთაბრძოლა, მით უფრო, რომ იბფ-ს დებულება სავალდებულოდ მიიჩნევს მატჩ-რევანშებს.

### რა ხდება ქვეყანაზე

● ოთხწლიანი სრული უძრაობის შემდეგ აღორძინდა ევროპაში ერთ დროს უძლიერესი იუგოსლავიის კალათბურთელთა ნაკრები, რომელმაც ამ დღეებში გამართა თავისი პირველი ამხანაგური მატჩი ბელგრადში. მეტოქე იყო გერმანიის საკმაოდ ძლიერი გუნდი. იუგოსლავიელებმა ეს შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 78:72 (38:39). შეგახსენებთ, რომ ამ დღეებში სოფიაში უნდა დაიწყოს ევროპის 1995 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი, რომელშიც იუგოსლავიის გუნდი (სერბიისა და ჩერნოგორიის წარმომადგენლებით დაკომპლექტებული) ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად ითვლება.

● ინგლისელ ველოსიპედისტს კრის ბორდმენს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ადრე თუ გვიან „დაეპატრონოს" მსოფლიოს რეკორდს ერთსაათიან რბოლაში, რომელიც ამჟამად ტონი რომინგერს ეკუთვნის. თანაც, საფრანგეთის ველოსპორტის ფედერაციის ტექნიკური დირექტორის როჟე ლეჟეს თქმით, სარეკორდო რბოლა უსათუოდ ბორდოში გაიმართება, იქ, სადაც დაამყარეს მსოფლიოს რეკორდები ჯერ მიგელ ინდურაინმა, მერე კი ტონი რომინგერმა. თუმცა, ბორდმენი რეკორდის ასპარეზად არც მეხიკოს მაღალმთიან ოლიმპიურ ტრეკს გამორიცხავს.

● ცნობილი გახდა, რომ წლეულს უიმბლდონის ტურნირში გამოიყენებენ ჩოგბურთის ნაკლებად სწრაფ ბურთებს. ორგანიზატორთა ვარაუდით, ეს სიახლე მოწოდების სისწრაფეს საათში საშუალოდ 12-14 კილომეტრით შეამცირებს. რაც თამაშს, საბოლოო ჯამში, სანახაობრივად უფრო ეფექტურს გახდის.

● ხელბურთელ ვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონატის გამარჯვებული საფრანგეთის ნაკრები პარიზში მიიღო ქვეყნის ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა. მოთამაშეებმა პრეზიდენტს საჩუქრად გადასცეს მაისური 19 ნომრით. მწვრთნელის დანიელ კოსტანტინის აზრით, ეს მიღება ხელბურთისადმი დიდი პატივისცემის გამოხატვა იყო.

● ახლახან გახდა ცნობილი, რომ ატლანტის 1996 წლის თამაშებზე მონაწილეობას მიიღებს პალესტინაც. დელეგაციის შემადგენლობაში სულ რვა კაცი იქნება — ექვსი სპორტსმენი და ორი ოფიციალური პირი. პალესტინელთა გამგზავრებასთან დაკავშირებულ მთელ ხარჯებს თავის თავზე იღებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პროგრამა: „ოლიმპიური სოლიდარობა", როგორც პალესტინის ეოკის წარმომადგენლებმა განაცხადეს, დელეგაციის შემადგენლობაში იქნებიან ან მოცურავეები, ან მოჭიდავეები, ანდა მაგიდის ჩოგბურთელები. გააჩნია თამაშების წინ ვინ როგორ ფორმაში აღმოჩნდება.

● ატლანტის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის მიღებას აპირებენ კამბოჯა, ირანი და ერაყი. კამბოჯის სპორტსმენები ოლიმპიადებში აღარ გამოსულან 1972 წლის შემდეგ. ატლანტაში ისინი გააგზავნიან ათამდე წარმომადგენელს. ირანელები კი, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტის სეიედ საჯადის განცხადებით, გამოიყვანენ საკმაოდ ხალხმრავალ დელეგაციას — დაახლოებით 45 სპორტსმენს (ჭიდაობები, ძიუდო, კრივი და ფეხბურთი). სოკ-ის აღმასკომის განცხადებით ოფიციალურ მოწვევას ქვეყნები მიიღებენ 19 ივლისს, თამაშების დაწყებამდე ზუსტად ერთი წლით ადრე.

## ჰონორარს არ ემდურიან

ავტომობილისტები ელიტარული სპორტის წარმომადგენლებად ითვლებიან, ვი... ნაიდან ყოველ გამარჯვებაში ზღაპრულა... დიდ ჰონორარს იღებენ. მაგალითისათვის შეიძლება ბოლო „ინდიკარის" შედეგები მოყვანა.

„ინდი-500-ის" ახლანდელმა ჩემპიონმა ჟაკ ვილნევმა ბოლო გამარჯვებისათვის ჰონორარის სახით მიიღო 1.312.019 დოლარი. სუპერრბოლის მეორე პრიზიორმა კრისტიან ფიტიპალდს ერგო 594.668 დოლარი, მესამე პრიზიორმა ბობ რეიჰალმა კი 373. 267 დოლარი ჩაიჯიბა.

საინტერესოა ერთი დეტალიც. შარშან ვილნევი ამ შეჯიბრებაში მეორე იყო და წლევანდელ ვერცხლის პრიზიორზე უფრო დიდი ჰონორარი მიიღო — 622.713 დოლარი. როგორც ჩანს, შარშანდელ რბოლას უკეთესი შემოსავალი ჰქონია.


## საინფორმაციო ბანკი 005

პირველად საქართველოში ქმნის „ბიზნეს-ცნობათა ბიუროს" კომპიუტერული ტექნიკისა და სპეციალური სერიული სატელეფონო ნომრის 005-ის ბაზაზე (სიმძლავრე — 7000 სიგნალი დღეში).

005-ის მონაცემთა ბაზაში ჩაიწერება საქართველოში მოქმედი ფირმებისა და ორგანიზაციების კოორდინატები, რეკვიზიტები და მათი საქმიანობის სრული ინფორმაციები, რაც უფასოდ მიეწოდება 005-ის საშუალებით ყველა დაინტერესებულ პირს.

ჩვენი აბონენტები შეუძლიათ გახდნენ კერძო და იურიდიული პირები, რომლებიც გადაიხდიან სააბონენტო გადასახადს, წელიწადში 30$, ან მის შესაბამის კუპონს, რუბლსა და გერმანულ მარკას.

გარდა ამისა, ჩართული ვართ მსოფლიოს რამდენიმე მძლავრ კომპიუტერულ ქსელში, რაც გვაძლევს ნებისმიერი იურიდიული, ეკონომიკური, ბიზნესინფორმაციების მოპოვების საშუალებას. ამასთან, გეძლევათ უნიკალური შანსი თქვენი საქმიანობის შესახებ იცოდეს მთელმა მსოფლიომ.

დამატებითი ინფორმაციებისათვის დარეკეთ — 005-ზე.

ფაქტობრივად, თქვენ ერთჯერადი რეკლამის საფასურად მთელი წლის მანძილზე რეკლამას უწევთ საკუთარ საქმეს.

ეს ფირმის მოღვაწეობის დასაწყისია, ამიტომ დღეს გემსახურებით ასე იაფად.

ჩვენი მისამართია: რუსთაველის პროსპექტი № 3, (კინოთეატრ „რუსთაველთან").

დარეკეთ — 005; 99-07-99

T / Fax5 / 8832 / 93-89-39; E - mail: Infobankeiboosge.

## „საინფორმაციო ბანკი 005" გთავაზობთ ავიაბილეთებს

მხოლოდ და მხოლოდ ავიაკომპანიების დადგენილ ზუსტ ფასებში ნებისმიერ მისამართზე მიტანით ყოველგვარი დამატებითი ანაზღაურების გარეშე:

რეისები: მოსკოვი, სანკტ-პეტერბურგი, ბათუმი, ქუთაისი.
თბილისი-ქუთაისი-სამარა, ლვოვი, ოდესა-დნეპროპეტროვსკი.
პერმი, ირკუტსკი, კიევი.
პარიზი, პრაღა, თელ-ავივი.
სტამბული, ვენა, ლარნაკა.

ჩვენი მისამართია: რუსთაველის პროსპექტი № 3 (კინოთეატრ „რუსთაველთან"). დარეკეთ — 005.


გრძელდება ხელმოწერა გაზეთ „ლელოზე" 1995 წლის III კვარტლისთვის.
მიაკითხეთ „საქპრესის" (ყოფილი „სოიუზპეჩატი") განყოფილებებს.


გაზეთის დღევანდელი ნომერი აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემით.
ხელმძღვანელი: გ. სიმონიშვილი.
შემსრულებლები: ნ. მასურაშვილი, ნ. რამიშვილი, მ. ჯილაური.


გაზეთ „ლელოს" თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ კოლეგას გაზეთ „სარბიელიდან"
გია ახალაძეს
მამის გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380096, მ.კოსტავას 14. ტელეფონი 99-56-14, 99-56-47. ინდექსი 66435 INDEX. ● დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ) შედის გაზეთის ფასში.